შპს მოგო-ს (ს/კ:404468688)
კონფიდენციალურობის პოლიტიკა

ჩვენ ვზრუნავთ თქვენს პირად ინფორმაციაზე, მონაცემთა დაცვასა და კონფიდენციალურობაზე. წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკაში (შემდგომში – **„კონფიდენციალურობის პოლიტიკა“**) ნათქვამია, თუ რა ინფორმაციას ვაგროვებთ, რა მიზნებისთვის და რა საშუალებებით და რა უფლებები გაქვთ თქვენ.

თქვენი პერსონალური მონაცემების მაკონტროლებელი არის შპს მოგო, როგორც Eleving Group-ის ან Eleving Group-ის სუბიექტის ნაწილი, რომელსაც თქვენ მიაწოდეთ თქვენი პერსონალური მონაცემები.

1. **განმარტებები**

დამუშავება – ნებისმიერი ოპერაცია ან ოპერაციების ნაკრები, რომელიც ხორციელდება პერსონალურ მონაცემებზე, როგორიცაა შეგროვება, ჩაწერა, ორგანიზება, სტრუქტურირება, შენახვა, ადაპტირება ან შეცვლა, მოძიება, კონსულტაცია, გამოყენება, გამჟღავნება და ა.შ.
კლიენტი – პირი, რომელიც იყენებს, გამოიყენა ან გამოხატა ინტერესი, გამოიყენოს ჩვენი რომელიმე სერვისი.
სერვისები – შპს მოგო-ს მიერ გაწეული ნებისმიერი სერვისი, მათ შორის ავტომობილების ლიზინგი, უკულიზინგი.
პერსონალური მონაცემები არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ეხება კლიენტს, ან ინფორმაცია, რომელიც კლიენტის პირდაპირ ან ირიბად იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.
კანონები პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ– ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 ფიზიკური პირების დაცვის შესახებ პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ამ მონაცემების თავისუფალი მიმოცვლისგან და 95/46/EC (GDPR)დირექტივის გაუქმების შესახებ, და სხვა მოქმედი სამართლებრივი აქტები მონაცემთა დაცვის შესახებ.

2. **როდის გამოიყენება წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკა?**

წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკა გამოიყენება, როდესაც:

- თქვენ იყენებთ ან გამოხატეთ განზრახვა, ისარგებლოთ ჩვენი რომელიმე სერვისით;
- თქვენ წარმოადგენთ კლიენტს (მაგალითად, როგორც თავდები, გადამხდელი, უფლებამოსილი წარმომადგენელი და ა.შ.) ან მითითებული ხართ კლიენტის საკონტაქტო პირად;
- თქვენ იყენებდით ჩვენს სერვისებს წარსულში და ჩვენ ვალდებულნი ვართ შევინახოთ ეს ინფორმაცია;
- თქვენ დაგვიკავშირდით ან ეწვიეთ ჩვენს წარმომადგენლობით და მომხმარებელთა მომსახურების ნებისმიერ ოფისს;
- ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს;
- ნებისმიერი სხვა გზით მოგვაწოდეთ თქვენი პერსონალური მონაცემები წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკაში მითითებული მონაცემთა დამუშავების ნებისმიერი მიზნისთვის.

3. რა არის მონაცემთა დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძველი?

ჩვენ შეგვიძლია დავამუშავოთ თქვენი პერსონალური მონაცემები სხვადასხვა მიზნებისთვის და სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლების შესაბამისად. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ შეიძლება დავამუშაოთ გარკვეული ტიპის პერსონალური მონაცემები ერთდროულად რამდენიმე მიზნით. ჩვენ შეიძლება მივიღოთ თქვენი მონაცემები როგორც თქვენგან, ასევე გარე წყაროებიდან, როგორიცაა საჯარო და კერძო რეესტრები და სხვა მესამე მხარეები.

3.1. თქვენი განაცხადის დამუშავება და მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება

ძირითადად, ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, რათა მოგაწოდოთ ჩვენი სერვისები და განვახორციელოთ სხვადასხვა წინასახელშეკრულებო ქმედებები და შეფასებები, გავაფორმოთ მომსახურების ხელშეკრულება, შევასრულოთ და შევწყვიტოთ იგი. ამ მიზნით, ჩვენ დავამუშავებთ ინფორმაციას, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მოვახდინოთ თქვენი იდენტიფიკაცია, გადავამოწმოთ თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და შემოგთავაზოთ ყველაზე შესაფერისი სერვისი. ჩვენ ასევე შეიძლება დავამუშავოთ თქვენთან დაკავშირებული პირების მონაცემები, როგორიცაა თქვენი საკონტაქტო პირი, თავდები, გადამხდელი ან უფლებამოსილი წარმომადგენელი. თუ თქვენ მოგვაწოდებთ ასეთ საკონტაქტო დეტალებს, თქვენ უნდა აცნობოთ ამ პირს, რომ მოგვაწოდეთ მათი რეკვიზიტები. თუ თქვენ წარადგინეთ განაცხადი, რომელიც არ არის დასრულებული, ჩვენ დავამუშავებთ მოწოდებულ ინფორმაციას და, თუ გონივრულად საჭირო იქნება, დაგიკავშირდებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც ჩვენ გვჭირდება თქვენთან მომსახურების ხელშეკრულების გასაფორმებლად.

პერსონალური მონაცემების კატეგორია	სამართლებრივი საფუძველი
- თქვენი საიდენტიფიკაციო მონაცემები (მაგ., სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემები, მართვის მოწმობის მონაცემები, ინფორმაცია ოჯახური ურთიერთობების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში), - საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მისამართი), - ენისა და კომუნიკაციის ფორმის არჩევანი, - **ინფორმაცია თქვენი ავტომობილის შესახებ (მაგ. რეგისტრაციის ნომერი, შასის ნომერი, ბრენდი, წელი, ფერი, მფლობელის მონაცემები, მოსარგებლის მონაცემები, ჯარიმები და ა.შ.)** - თქვენი საკონტაქტო პირის ან წარმომადგენლის (გადამხდელი, თავდები, უფლებამოსილი წარმომადგენელი) სახელი,	დამუშავება აუცილებელია მომსახურების ხელშეკრულების შესასრულებლად ან მომსახურების ხელშეკრულების დადებამდე საჭირო ნაბიჯების გადასადგმელად.

გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია	

3.2. თქვენი გადახდისუნარიანობის და საკრედიტო ისტორიის შეფასება

იმისათვის, რომ მოგაწოდოთ ჩვენი სერვისები, არსებობს რამდენიმე შეფასება, რომელიც კანონიერად უნდა განვახორციელოთ, როგორიცაა თქვენი გადახდისუნარიანობის, საკრედიტო ისტორიისა და შემოსავლის წყაროს შეფასება. ამ მოთხოვნების შესასრულებლად, ჩვენ შეიძლება დავამუშავოთ სხვადასხვა მონაცემები, რაც საშუალებას გვაძლევს, შეგაფასოთ თქვენ, როგორც კლიენტი, განვსაზღვროთ თქვენი გადახდისუნარიანობა, შემოსავლის წყარო, სხვა ვალდებულებების ოდენობა, წარსული ვალდებულებები, ასევე დავიცვათ ფულის გათეთრების საწინააღმდეგო მოთხოვნები.

პერსონალური მონაცემების კატეგორია	სამართლებრივი საფუძველი
- თქვენი საიდენტიფიკაციო მონაცემები (მაგ., სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემები, მართვის მოწმობის მონაცემები, ინფორმაცია ოჯახური ურთიერთობების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში), - საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მისამართი), - ინფორმაცია თქვენი განათლებისა და დასაქმების შესახებ, - ფინანსური მონაცემები (მაგ. ინფორმაცია თქვენი ვალდებულებების, შემოსავალისა და სხვა აქტივების, დამოკიდებული პირების შესახებ და ა.შ.) - ინფორმაცია სახსრების წარმოშობის შესახებ (მაგ. ინფორმაცია დამსაქმებლის, ბიზნეს პარტნიორების, ბიზნესის, საბანკო ამონაწერების ან სხვა მონაცემების შესახებ, რომლებიც საშუალებას გვაძლევს,	დამუშავება აუცილებელია სამართლებრივი ვალდებულების შესასრულებლად, რომელსაც ჩვენ ვექვემდებარებით. თქვენი მოგვაწოდეთ თანხმობა, რომ მოვითხოვოთ კონკრეტული ინფორმაცია სახელისუფლებო ორგანოების მონაცემთა ბაზიდან (როგორიცაა სოციალური დაზღვევის სახელმწიფო სააგენტო).

გადავამოწმოთ თქვენი თანხები და თავიდან ავიცილოთ ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება, გაირკვეს, ხართ თუ არა პოლიტიკურად მნიშვნელოვანი პირი, და ა.შ.), - მონაცემები თქვენი ვალდებულებების შესრულების შესახებ (მაგ. ინფორმაცია თქვენი წინა და მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების შესახებ, გადახდის დისციპლინა, გადაუხდელობა და ა.შ.).	

3.3. ავტომობილის სადაზღვევო პოლისის შეძენა თქვენი სახელით

თუ ჩვენ მივიღეთ თქვენგან შესაბამისი მოთხოვნა ან თქვენ არ შეასრულეთ თქვენი სახელშეკრულებო მოვალეობა, დროულად უზრუნველყოთ ავტომობილის დაზღვევა, ჩვენ შეგვიძლია თქვენი სახელით შევიძინოთ სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო სადაზღვევო პოლისი. ამ მიზნით, ჩვენ დავამუშავებთ თქვენსა და თქვენი ავტომობილის მონაცემებს.

პერსონალური მონაცემების კატეგორია	სამართლებრივი საფუძველი
- თქვენი საიდენტიფიკაციო მონაცემები (მაგ., სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი), - საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მისამართი), - მონაცემები თქვენი **ავტომობილის** შესახებ (მაგ., სახელმწიფო ნომერი, რეგისტრაციის მოწმობა).	დამუშავება აუცილებელია მომსახურების ხელშეკრულების შესასრულებლად ან მომსახურების ხელშეკრულების დადებამდე საჭირო ნაბიჯების გადასადგმელად.

3.4. გადახდების დამუშავება

ჩვენი სავალდებულო სამართლებრივი მოთხოვნების შესასრულებლად, მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვის, ფულის გათეთრების საწინააღმდეგო, გადახდის დამუშავების, წინასწარი გადახდების დამუშავებისა და გადახდასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციის საწარმოებლად, ჩვენ ვამუშავებთ თქვენს მონაცემებს თქვენს გადახდებთან და ჩვენს მიმართ თქვენი ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

პერსონალური მონაცემების კატეგორია	სამართლებრივი საფუძველი
- თქვენი საიდენტიფიკაციო მონაცემები (მაგ., სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების	დამუშავება აუცილებელია სამართლებრივი ვალდებულების

თარიღი), - საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მისამართი), - ინფორმაცია ჩვენთან განხორციელებული გადახდების შესახებ და თქვენი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები.	შესასრულებლად, რომელსაც ჩვენ ვექვემდებარებით.

3.5. მარკეტინგული და სარეკლამო აქტივობები

ჩვენ შეიძლება დავამუშავოთ გარკვეული პერსონალური მონაცემები, რათა გაცნობოთ ჩვენი სიახლეების, ლატარიების, სარეკლამო აქტივობების შესახებ და გამოგიგზავნოთ პერსონალიზებული შეთავაზებები. პერსონალიზებული შეთავაზებებისა და რეკლამის შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ პროფილირება (პროფილირებისა და გადაწყვეტილების ავტომატიზირებული მიღების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ნაწილი 7). ამ მონაცემების ნაწილს ჩვენ ვაგროვებთ ქუქი-ფაილების გამოყენებით.

პერსონალური მონაცემების კატეგორია	სამართლებრივი საფუძველი
- თქვენი საიდენტიფიკაციო მონაცემები (მაგ., სახელი, გვარი, ასაკი), - საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მისამართი), - ინფორმაცია ლატარიებში, აქციებში ან სხვა კამპანიებში მონაწილეობის შესახებ, - ქუქი-ფაილებიდან და მსგავსი ტექნოლოგიებიდან მიღებული ინფორმაცია, რომლებიც გვაწვდიან მონაცემებს მომხმარებლის სურვილებისა და ინტერესების შესახებ.	თქვენი თანხმობა მარკეტინგული და სარეკლამო ინფორმაციის მიღებაზე. პირდაპირი მარკეტინგული საქმიანობის განხორციელების ჩვენი ლეგიტიმური ინტერესები, თუ თქვენ იყენებთ ჩვენს სერვისებს.

3.6. თქვენთან კომუნიკაცია და მომხმარებელთათვის მომსახურების გაწევა

თქვენთან კომუნიკაციისთვის, ჩვენი მომხმარებელებისთვის მომსახურების გასაწევად, კონსულტაციებისთვის, ჩვენს სერვისებთან დაკავშირებით ნებისმიერი პრობლემის გადასაჭრელად, ჩვენ შეიძლება დავამუშავოთ თქვენი მონაცემები, რომლებიც უკვე გვაქვს (როგორიცაა თქვენი სახელი, საკონტაქტო ინფორმაცია და ინფორმაცია სერვისის შესახებ, რომელსაც იყენებთ) და მონაცემები, რომელსაც თქვენ გვაწვდით კომუნიკაციის დროს.

პერსონალური მონაცემების კატეგორია	სამართლებრივი საფუძველი
- თქვენი საიდენტიფიკაციო მონაცემები (მაგ., სახელი, გვარი, პირადი ნომერი), - საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის	ჩვენი ლეგიტიმური ინტერესები, მოგაწოდოთ ხარისხიანი მომსახურება და გადავჭრათ მასთან დაკავშირებული

ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მისამართი), - ხმოვანი ჩანაწერები, - სხვა ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მოგვაწოდოთ კომუნიკაციის დროს (მაგალითად, ჩვენთან გაფორმებული თქვენი ხელშეკრულების შესახებ, თქვენი ავტომოიბილის მონაცემები და ა.შ.).	პრობლემები.

3.7. ავტომობილის ადგილმდებარეობის მონაცემების (GPS) დამუშავება

სალიზინგო პერიოდი განმავლობაში ჩვენი ავტომობილების მონიტორინგის მიზნით, ჩვენ აღვჭურვავთ ავტომობილებს GPS თრექინგის მოწყობილობებით (ასეთი აუცილებლობის შემთხვევაში). ამ მოწყობილობებს შეუძლიათ, ჩაწერონ ავტომობილის ადგილმდებარეობის ინფორმაცია, ავტომობილის მართვის ჩვევები და ავტომობილით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა მონაცემები.

პერსონალური მონაცემების კატეგორია	სამართლებრივი საფუძველი
- თქვენი საიდენტიფიკაციო მონაცემები (მაგ., სახელი, გვარი, პირადი ნომერი), - საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მისამართი), - მონაცემები მონიტორინგის ქვეშ მყოფი ავტომობილის შესახებ, - ავტომობილის მდებარეობის მონაცემები, - მძღოლის მართვის ჩვევები.	ჩვენი ლეგიტიმური ინტერესები, უზრუნველვყოთ ჩვენი ავტომობილების დაცვა და მათი გამოყენება იჯარის მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად.

3.8. ჩვენი კანონიერი ინტერესების დაცვა, მათ შორის დავალიანების დამუშავება.

ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება დავამუშაოთ თქვენი პერსონალური მონაცემები, რათა დავიცვათ ჩვენი კანონიერი ინტერესები, როგორიცაა თაღლითობის ან თაღლითობის მცდელობის თავიდან აცილება, სახსრების ამოღება, ვალების ამოღება, დავალიანების დამტკიცება, თქვენი თანხმობის დადასტურება, ნებისმიერი დავის და კონფლიქტის გადაჭრა და სამართლებრივი პრეტენზიების აღძვრა და დაცვა.
ამ მიზნით, შეიძლება გთხოვოთ თქვენი დამატებითი საკონტაქტო პირის დეტალების მიწოდება. ჩვენ გამოვიყენებთ ასეთ ინფორმაციას იმ შემთხვევებში, როდესაც ჩვენ ვერ გიკავშირდებით და უნდა მოგაწოდოთ სერვისთან ან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. თუ თქვენ მოგვაწვდით ასეთ საკონტაქტო დეტალებს, თქვენ უნდა აცნობოთ ამ პირს, რომ მოგვაწოდეთ მათი რეკვიზიტები.

პერსონალური მონაცემების კატეგორია	სამართლებრივი საფუძველი

- თქვენი საიდენტიფიკაციო მონაცემები (მაგ., სახელი, გვარი, პირადი ნომერი და სხვა იდენტიფიცირებადი ინფორმაცია), - თქვენი საკონტაქტო პირის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია, - ინფორმაცია იმ სერვისის შესახებ, რომელსაც იყენებთ ან იყენებდით, - ინფორმაცია თქვენ მიერ მოწოდებული თანხმობის შესახებ, - სხვა ინფორმაცია, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს ამ კონკრეტული მონაცემების დამუშავების მიზნით.	ჩვენი ლეგიტიმური ინტერესები, დავიცვათ ჩვენი კანონიერი ინტერესები, რათა თავიდან ავიცილოთ თაღლითობა ან თაღლითობის მცდელობა, ამოვიღოთ თანხები, ვაწარმოოთ ვალების ამოღება, დავალიანების ასიგნება, დავადასტუროთ თქვენი თანხმობა, გადავჭრათ ნებისმიერი დავა და კონფლიქტი, წამოვაყენოთ და დავიცვათ სამართლებრივი პრეტენზიები.

3.9. ჩვენი სერვისების ანალიზი და გაუმჯობესება

ჩვენ შეიძლება დავამუშავოთ თქვენი პერსონალური მონაცემები, რათა გავიგოთ თქვენი აზრი ჩვენს სერვისებზე, ასევე გავაანალიზოთ ჩვენი სერვისები, ვაწარმოოთ კლიენტების სტატისტიკა და შევიმუშაოთ ანალიტიკური ინფორმაცია რისკების შეფასების, სერვისის გაუმჯობესებისა და ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით.

პერსონალური მონაცემების კატეგორია	სამართლებრივი საფუძველი
- თქვენი საიდენტიფიკაციო მონაცემები (მაგ., სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი), - საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მისამართი), - ინფორმაცია თქვენი სურვილებისა და სერვისით კმაყოფილების შესახებ.	ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი, რომ გავაანალიზოთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი სერვისები.

3.10. ტექნიკური ზედამხედველობა და სერვისების გაუმჯობესება

ჩვენი სერვისების გამოყენების, ისევე როგორც ჩვენი საინფორმაციო სისტემების ფუნქციონირების მონიტორინგისთვის, მონაცემთა ბაზების, ვებგვერდების და ქსელების ჩათვლით, ჩვენ შეიძლება დავამუშაოთ სხვადასხვა ტექნიკური მონაცემი, რომლებიც მიღებულია ქუქი-ფაილებიდან, რეგისტრაციის ჟურნალებიდან და სხვა ტექნიკური გადაწყვეტილებებიდან.

პერსონალური მონაცემების კატეგორია	სამართლებრივი საფუძველი
- თქვენი IP მისამართი, - ინფორმაცია თქვენს მოწყობილობაზე, - თქვენი ბრაუზერის ტიპი და ვერსია,	ჩვენი ლეგიტიმური ინტერესები, უზრუნველვყოთ ჩვენი სერვისების უსაფრთხოება და დაცულობა და ჩვენი

- დროის ზონა, სხვადასხვა მეტამონაცემი, ინფორმაცია ვებგვერდზე წვდომის შესახებ, ინფორმაცია ვებგვერდზე ურთიერთქმედების შესახებ, მონაცემთა შეყვანა, მოდიფიკაცია და სხვა ინფორმაცია ამ მიზნის შესაბამისად.	ბიზნეს საქმიანობისა და ტექნიკური აქტივების უწყვეტობა.

4. საიდან ვიღებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს?

მონაცემთა დამუშავების მიზნიდან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება მივიღოთ თქვენი პერსონალური მონაცემები სხვადასხვა წყაროდან:

- თქვენგან, როდესაც მოგვმართავთ ან დაინტერესდებით ჩვენი სერვისებით;
- Eleving Group-ის სხვა კომპანიებისგან, იმის გათვალისწინებით, რომ მათ შეუძლიათ განიხილონ თქვენი განაცხადი და წარმოგიდგინონ შეთავაზება;
- თუ თქვენ მითითებული ხართ, როგორც კლიენტის საკონტაქტო პირი ან წარმომადგენელი (გადამხდელი, თავდები ან უფლებამოსილი წარმომადგენელი), ჩვენ მივიღეთ მონაცემები კლიენტისგან;
- მესამე პირებისგან, ვისგანაც ვითხოვთ ინფორმაციას თქვენი გადახდისუნარიანობის, საკრედიტო ისტორიისა და სახსრების წარმოშობის შესაფასებლად, როგორიცაა საკრედიტო ბიუროები, სახელმწიფო ორგანოები (როგორიცაა სახელმწიფო შემოსავლების სამსახური და ა.შ.), დავალიანებების ისტორიის მონაცემთა ბაზები და სხვა თანამშრომლობის პარტნიორები ან მესამე მხარე სერვის-პროვაიდერები, რომლებსაც შეუძლიათ საჭირო ინფორმაციის მიწოდება,

5. ვის ვუზიარებთ თქვენს პირად მონაცემებს?

ჩვენი სერვისების გასაწევად, ჩვენ უნდა გავუზიაროთ თქვენი ზოგიერთი პერსონალური მონაცემი მესამე მხარე სერვის-პროვაიდერებს (შემდგომში – სერვის-პროვაიდერები) და სხვა მონაცემთა მიმღებებს, მაგალითად:

- Eleving Group-ის სხვა კომპანიები, მაგალითად, შემოგთავაზოთ Eleving Group-ის სხვა კომპანიის მიერ მოწოდებული ყველაზე შესაფერისი სერვისები;
- სახელმწიფო ორგანოები და სხვა დაწესებულებები ასევე სამართალდამცავი ორგანოები, ნაფიცი აღმასრულებლები, საგადასახადო ადმინისტრაციები, საზედამხედველო და ფინანსური გამოძიების ორგანოები და მესამე მხარეები, რომლებიც აწარმოებენ სხვადასხვა საკრედიტო რეესტრებს, სახელმწიფო რეესტრებს და კომერციულ რეესტრებს;
- საკრედიტო ინსტიტუტები, ფინანსური ინსტიტუტები, სადაზღვევო მომსახურების მიმწოდებლები და ფინანსური შუამავლები და სხვა მესამე პირები, რომლებიც მონაწილეობენ მომსახურების გაწევაში და ხელშეკრულების გაფორმებაში ან/და შესრულებაში, როგორიცაა ლიზინგის ობიექტების გამყიდველები და მათ მომსახურებასთან დაკავშირებული უფლებამოსილი პირები, ასევე ასეთ ობიექტებთან დაკავშირებული მოსაკრებლები და ჯარიმები;
- სერვის-პროვაიდერები, რომლებიც უზრუნველყოფენ AML და თაღლითობის აღმოჩენის ინსტრუმენტებს, კლიენტების იდენტიფიკაციის ინსტრუმენტებს,

სერვერის აპარატურულ პროვაიდერზე განთავსების სერვისებს, ასევე მონაცემთა და კიბერუსაფრთხოების სერვისებს, ელ-ფოსტისა და კონტენტის მიწოდების ინსტრუმენტებს, საფოსტო, მარკეტინგის, ბუღალტერიის, იურიდიული, აუდიტის, IT, ვებ ანალიტიკას, სესიის ჩაწერას და ონლაინ მარკეტინგის სერვისებს და სხვა სერვისებს, რომლებიც გონივრულად შეიძლება დაგვჭირდეს;

- დავალიანების ამომღებები ან სხვა იურიდიული პირები მინიჭებული უფლებების ფარგლებში, სასამართლოები, სასამართლო დავების გადაწყვეტის გარე ორგანოები, გაკოტრების ან გადახდისუუნარობის ადმინისტრატორები, აგრეთვე ანალოგიური სასესხო საინვესტიციო პლატფორმები.

გარკვეულ სიტუაციებში, ჩვენ გვაქვს სამართლებრივი ვალდებულება, გავუზიაროთ თქვენი ინფორმაცია მესამე მხარეებს, რათა შევასრულოთ სამართლებრივი მოთხოვნები, ასევე დავიცვათ ჩვენი ან მესამე მხარის კანონიერი ინტერესები. ჩვენ ასევე გავუმჟღავნებთ თქვენს ინფორმაციას მესამე მხარეებს მოქმედი კანონმდებლობით დაშვებული ზომით, მათ შორის:

- პოტენციურ მყიდველს რომელიც ჩვენი ან ჩვენი ბიზნესის შემძენია, მთლიანად ან არსებითი მოცულობით;
- მესამე მხარეს, თუ ჩვენ ვყიდით ან ვყიდულობთ რაიმე ბიზნესს ან ვახორციელებთ გაერთიანებას, ამ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება გავუმხილოთ თქვენი ინფორმაცია ასეთი ბიზნესის პოტენციურ მყიდველს; და
- მესამე მხარეს, თუ ჩვენ ვთანამშრომლობთ სხვა კომპანიებთან ან ბიზნესებთან, ვართ რეორგანიზაციის, გაკოტრების ან ლიკვიდაციის პროცესში, ან სხვაგვარად ვახორციელებთ ბიზნეს ტრანზაქციას ან ვყიდით ჩვენს ზოგიერთ ან მთლიან აქტივს. ასეთ ტრანზაქციებში თქვენი ინფორმაცია შეიძლება იყოს გადაცემულ აქტივებს შორის.

როდესაც ჩვენ ვუზიარებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს სერვის-პროვაიდერებს, ჩვენ ვიცავთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ჩვენ გადავცემთ მხოლოდ იმ მინიმალურ მონაცემებს, რაც აუცილებელია კონკრეტული სერვის-პროვაიდერისთვის;
- ჩვენ ვმუშაობთ მხოლოდ იმ სერვის-პროვაიდერებთან, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ პერსონალური მონაცემების დაცვის შესაბამისი დონე;
- თუ სერვის-პროვაიდერი მოქმედებს, როგორც ჩვენი პერსონალური მონაცემების დამმუშავებელი, მას შეუძლია დაამუშაოს თქვენი მონაცემები მხოლოდ ჩვენი ინსტრუქციების და წერილობითი შეთანხმების შესაბამისად და არ შეუძლია გამოიყენოს ისინი სხვა მიზნებისთვის.

თუ რომელიმე სერვის-პროვაიდერი მდებარეობს EU/EEA-ს ფარგლებს გარეთ, ჩვენ გავაზიარებთ თქვენს მონაცემებს პერსონალური მონაცემების დაცვის მოქმედი კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის:

- EU სტანდარტული საკონტრაქტო დებულებების შეყვანით ან მონაცემთა გადაცემის სხვა შესაბამისი საფუძვლების გამოყენებით, რომლებიც გათვალისწინებულია პერსონალური მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონით, როგორიცაა ქცევის კოდექსი და სერთიფიკაციები;

- ქვეყანაში მდებარე სერვის-პროვაიდერებთან თანამშრომლობით, რომელიც გთავაზობთ მონაცემთა დაცვის ადექვატურ დონეს ევროკომისიის ზომების საკმარისობის შესახებ გადაწყვეტილების შესაბამისად.

6. ვიდეო მეთვალყურეობა

ჩვენ ვაწარმოებთ ვიდეო მეთვალყურეობას ჩვენი კლიენტების სერვის ცენტრებში, ოფისებში, ავტომობილების დილერებსა და სხვა ობიექტებში, სადაც ჩვენ ვმუშაობთ. ჩვენ ვამუშავებთ მონაცემებს ჩვენი ლეგიტიმური ინტერესებიდან გამომდინარე, რათა თავიდან ავიცილოთ და აღმოვაჩინოთ სისხლის სამართლის დანაშაულები და დავიცვათ ჩვენი ქონება. ვიდეო მეთვალყურეობა აქტიურია 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღე. ვიდეო მეთვალყურეობის დროს მიღებული მონაცემები ინახება 30 დღის განმავლობაში. ამ პერიოდის შემდეგ, მონაცემები წაიშლება, თუ გონივრულად არ არის საჭირო მათი შენახვა სხვა მიზნებისთვის, როგორიცაა დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიება, ჩვენი ან მესამე მხარის კანონიერი უფლებების დაცვა. ვიდეო სამეთვალყურეო კამერების განთავსების არჩევისას გავითვალისწინეთ შემდეგი ასპექტები:

- ვიდეო მეთვალყურეობის ზონა – კამერები აფიქსირებენ იმ ტერიტორიებს, რომლებიც საჭიროა ვიდეო მეთვალყურეობის მიზნის მისაღწევად. სხვა შენობები, ტერიტორიები კომპანიის შენობებისა და ტერიტორიების გარეთ არ არის გადაღებული;
- ვიდეო მეთვალყურეობის ხარისხი - კამერები განლაგებულია ისე, რომ გადაღებული სურათი შეიძლება გამოყენებულ იქნას დანიშნულებისამებრ, ვიდეოზე ნანახი პირების იდენტიფიცირება შესაძლებელია და კამერები შესაფერისია სამეთვალყურეო ზონისთვის;
- მონაცემთა სუბიექტის კონფიდენციალურობა – კამერები არ იღებენ იმ ტერიტორიებს, რომლებიც განკუთვნილია პირადი გამოყენებისთვის (მაგალითად, ტუალეტები, მოსასვენებელი ადგილები და ა.შ.).

7. როდის ვიყენებთ პროფილირებას და გადაწყვეტილების ავტომატიზირებულ მიღებას?

პროფილირება არის კლიენტების შეფასება გარკვეული პარამეტრების მიხედვით, როგორიცაა ეკონომიკური მდგომარეობა, პირადი სურვილები, ინტერესები, ქცევა და ა.შ., კლიენტების კლასიფიკაციისთვის ჩვენ მიერ წინასწარ განსაზღვრულ კლიენტთა კატეგორიებად. გადაწყვეტილების ავტომატიზირებული მიღება არის გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა ტექნოლოგიური, ავტომატური საშუალებებით, კლიენტის მიერ მოწოდებული მონაცემების ან პროფილირების შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოყენებით.

ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ პროფილირება და მივიღოთ ავტომატიზირებული გადაწყვეტილებები, რათა დამუშავდეს თქვენი განაცხადი ჩვენს სერვისებზე, შევაფასოთ თქვენი კრედიტუნარიანობა და რისკები, შევაფასოთ თქვენთვის სერვისების მოწოდების შესაძლებლობა, განვსაზღვროთ სესხის მაქსიმალური თანხა, შევაფასოთ და თავიდან ავიცილოთ თაღლითობის რისკი და შევასრულოთ ჩვენი ვალდებულება, რომ დავიცვათ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის წესები.

გადაწყვეტილებები თქვენთვის სერვისების მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ არ მიიღება ავტომატურად ჩვენი თანამშრომლების ჩართულობის გარეშე. ჩვენ რეგულარულად განვიხილავთ ჩვენს ალგორითმებსა და პირობებს ჩვენი სერვისების მიწოდებისთვის, რათა თავიდან ავიცილოთ შეფასების შეცდომები და უზუსტობები. თქვენ გაქვთ უფლება, მოითხოვოთ თქვენი განაცხადის დამუშავება ინდივიდუალური და არა ავტომატური სისტემით, მაგრამ თქვენი განაცხადის მეორადი შეფასება არ იძლევა იმის გარანტიას, რომ შედეგი განსხვავებული იქნება.

გარდა ამისა, ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ პროფილირება და გადაწყვეტილების ავტომატიზირებული მიღება, რათა შემოგთავაზოთ უფრო შესაფერისი სერვისი, პერსონალიზებული მარკეტინგული და კომერციული შეთავაზებები, ფასდაკლებებისა და სპეციალური პირობების ჩათვლით, და ჩავატაროთ მომხმარებლის ანალიზი.

ჩვენი პროფილირება და გადაწყვეტილების ავტომატიზირებული მიღება ეფუძნება:

- ჩვენი სამართლებრივ ვალდებულებას, შევაფასოთ კლიენტების გადახდისუნარიანობა და დავიცვათ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო წესები;
- მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებას და წინასახელშეკრულებო ღონისძიებების გატარებას, მათ შორის, უფრო სწრაფი და ეფექტური სახელშეკრულებო პროცესის უზრუნველსაყოფად;
- თქვენს თანხმობას ან ჩვენს ლეგიტიმურ ინტერესს, თავიდან ავიცილოთ თაღლითობის რისკი და მოგაწოდოთ თქვენთვის უფრო შესაბამისი გადაწყვეტილებები, კომუნიკაციები და შეთავაზებები.

8. რამდენ ხანს ვინახავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს?

ჩვენ დავამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს მანამ, სანამ:

- არსებობს მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთი ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძველი და თქვენი მონაცემების დამუშავებას აქვს მიზანი, მაგალითად, თქვენ მიერ დადებული მომსახურების ხელშეკრულება ძალაშია ან თქვენი თანხმობა გარკვეული მონაცემების დამუშავებაზე მოქმედია;
- მოქმედი კანონმდებლობით ჩვენ ვალდებულნი ვართ, შევინახოთ თქვენი პერსონალური მონაცემები;
- საჭიროა ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების დაცვა, მაგალითად, რათა წამოვაყენოთ და დავიცვათ სამართლებრივი მოთხოვნები.

როდესაც ეს პირობები დასრულდება, ჩვენ წავშლით ან ანონიმურს გავხდით თქვენს მონაცემებს.

9. თქვენი უფლებები

როგორც მონაცემთა სუბიექტს, თქვენ გაქვთ პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონებით გათვალისწინებული გარკვეული უფლებები. ეს უფლებები ითვალისწინებს, რომ თქვენ შეგიძლიათ:

- მოითხოვოთ წვდომა თქვენს პერსონალურ მონაცემებზე და მოითხოვოთ დეტალები მათი დამუშავების შესახებ;
- შეასწოროთ არასწორი ან არაზუსტი მონაცემები;
- მოითხოვოთ თქვენი მონაცემების წაშლა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ, წავშალოთ ის მონაცემები, რომელთა დამუშავება და შენახვა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება საჭირო იყოს ჩვენი უფლებების დასაცავად ან სამართლებრივი სარჩელის აღძვრისათვის, თუ ჩვენი უფლებები დაირღვა;
- გააპროტესტოთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება, რომელიც ეფუძნება ჩვენს ლეგიტიმურ ინტერესებს. ასეთი პროტესტის შემთხვევაში, ჩვენ აღარ დავამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩვენ ვაჩვენებთ დამუშავების დამაჯერებელ ლეგიტიმურ საფუძველს, რომელიც აჭარბებს მონაცემთა სუბიექტის ინტერესებს, უფლებებსა და თავისუფლებებს ან წარმოვადგენთ სამართლებრივი პრეტენზიების ჩამოყალიბების, განხორციელების ან დაცვის ლეგიტიმურ საფუძველს;
- მოითხოვოთ თქვენი მონაცემების მიღება მონაცემთა სხვა მაკონტროლებელისათვის გადასაცემად, იმ პირობით, რომ ეს გავლენას არ მოახდენს ჩვენს ლეგიტიმურ ინტერესზე, დავიცვათ ჩვენი სავაჭრო საიდუმლოებები ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია;
- გააუქმოთ თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე წინასწარი თანხმობის საფუძველზე. თანხმობა შეიძლება გაუქმდეს:

    - გამოწერის გაუქმების ოფციის გამოყენებით ჩვენს ელ-ფოსტაში ან SMS-ით,
    - დარეკვით ჩვენს მომხმარებელთა მომსახურების ცენტრში,
    - ადგილზე ჩვენს მომხმარებელთა მომსახურების ცენტრებში.

  თქვენი თანხმობის გაუქმება გავლენას არ მოახდენს მის გაუქმებამდე თანხმობის საფუძველზე დამუშავების კანონიერებაზე. გთხოვთ, ასევე გაითვალისწინოთ, რომ თანხმობის გაუქმება არ იმოქმედებს თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, რომელსაც ჩვენ ვამუშავებთ სხვა სამართლებრივი საფუძვლების საფუძველზე.

ამ უფლებების განსახორციელებლად, შეგიძლიათ მოგვაწოდოთ წერილობითი მოთხოვნა ჩვენს ელექტრონულ ფოსტაზე ან წარმოადგინოთ იგი წერილობითი ფორმით და თქვენი თავის იდენტიფიცირებით მომხმარებელთა მომსახურების ცენტრში. ჩვენ დავამუშავებთ მოთხოვნას 30 დღის განმავლობაში და მოგაწვდით პასუხს. როდესაც მივიღებთ თქვენს მოთხოვნას თქვენი უფლებების განხორციელების შესახებ, ჩვენ შევამოწმებთ თქვენს ვინაობას, შევაფასებთ მოთხოვნას და შევასრულებთ მას მოქმედი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად.

10. მესამე მხარის ვებ-გვერდების ბმულები

ჩვენი ვებგვერდი შეიძლება შეიცავდეს ბმულებს მესამე მხარის ვებ-გვერდებზე. მესამე მხარის ამ ვებ-გვერდებს აქვთ გამოყენების საკუთარი პირობები და კონფიდენციალურობის პოლიტიკა, რომელთა წაკითხვასაც გირჩევთ, როდესაც ეწვევით ვებ-გვერდს. ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი მესამე მხარის ვებ-გვერდებზე და მათ კონტენტზე.

11. ცვლილებები წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკაში

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, შევცვალოთ წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკა. რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში წინასწარ შეგატყობინებთ. ჩვენ გირჩევთ, რომ რეგულარულად ეწვიოთ ჩვენს ვებ-გვერდს უახლესი ინფორმაციის მისაღებად.

წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკა ძალაშია 03.10.2022-დან.